



Name
 Address Line 1
 Address Line 2
 Address Line 3
 Address Line 4
 Address Line 5

Person ID: xxxxxx

Application ID: IPPA xxxxxx

**გარდამავალი ღონისძიებები 2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტის
 ამოქმედების შესახებ**

Dear XXXXX,

ეს ეხება თქვენს მიმდინარე განაცხადს სახელმწიფოში ლტოლვილის/დამატებითი დაცვის სტატუსის მისაღებად.

მინდა გაცნობოთ, რომ საერთაშორისო დაცვის განაცხადების გამოძიებისა და განსაზღვრის ახალი შეთანხმებები (ლტოლვილის სტატუსი და დამატებითი დაცვა) და ნებართვა სახელმწიფოში დარჩენის შესახებ, შემოღებულ იქნა 2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტით (2015 წლის აქტი), რომელიც ამოქმედდა იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრის მიერ **2016 წლის 31 დეკემბერს** („ამოქმედების თარიღი“).

2015 წლის აქტით დაინერგა ახალი ერთჯერადი პროცედურა. ამ პროცედურით განმცხადებელი მიმართავს საერთაშორისო დაცვის ოფისს, ირლანდიური ნატურალიზაციის და იმიგრაციის სამსახურს, ორივე, როგორც ლტოლვილის სტატუსისა და დამატებით დაცვასთან დაკავშირებით. საერთაშორისო დაცვის ოფისმა ("IPO") შეცვალა ლტოლვილთა პროგრამების კომისრის ოფისი (ORAC), რომელიც გაუქმებულ იქნა.

იქ, სადაც გაკეთდა ახალი განაცხადი საერთაშორისო დაცვისათვის 2015 წლის აქტით, IPO გამოიძიებს განმცხადებელს ამავდროულად უნდა მიენიჭოს ლტოლვილის სტატუსი ან დამატებითი დაცვა თუ არა. იმ შემთხვევაში თუ გაკეთდა ნეგატიური რეკომენდაცია ამასთან დაკავშირებით, მინისტრი, შემდგომი საპროცედურო ნაბიჯების ან კორესპონდენციის გარეშე, გადაწყვეტს ნება დართოს თუ არა განმცხადებელს დარჩეს სახელმწიფოში, ნებისმიერი სხვა საფუძვლით (მათ შორის ჰუმანიტარული ან პირადი მოსაზრებებით). გამონაკლისი ამ

პროცესისათვის არის ის თუ სად უნდა იქნას განხილული განაცხადი, ევროკავშირის დუბლინის დებულების მიხედვით, რომელ შემთხვევაში გამოიყენება ალტერნატიული ღონისძიებები - იხილეთ ნაწილი 10 საერთაშორისო დაცვის (IPO 1) განმცხადებლების თანდართულ საინფორმაციო ბუკლეტში. ეს არის წინარე პროცედურების ცვლილება, რომლის მიხედვითაც მინისტრმა უარი თქვა ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე, მინისტრმა მისცა განმცხადებელს საშუალება მიმართოს დამატებით დაცვასთან დაკავშირებით და გააკეთოს განაცხადი თუ რატომ არ უნდა მოხდეს მისი დეპორტაცია.

Tqveni ganacxadis statusi

2015 წლის აქტი შეიცავს გარდამავალ დებულებებს, რაც ეხება განაცხადებს ლტოლვილის სტატუსთან და დამატებით დაცვასთან დაკავშირებით, რომელიც გაკეთდა ORAC-ში ამ აქტის ამოქმედების თარიღამდე. 2015 წლის აქტით ეს განაცხადები გადაეცემა საერთაშორისო დაცვის ოფისს დასამუშავებლად.

თქვენი განაცხადი საერთაშორისო დაცვის შესახებ შედის **2 კატეგორიაში (ლტოლვილთა სარჩელები)**, თანდართული საინფორმაციო შეტყობინების (IPO 12) მე-4 ნაწილში, კერძოდ განმცხადებელი, რომელმაც განაცხადი გააკეთა ლტოლვილის სტატუსზე, რომელიც იყო გასაჩივრებული RAT-ში ამოქმედების თარიღამდე, მაგრამ გადაწყვეტილება არ იყო მიღებული RAT-ის მიერ ამ თარიღისთვის, შესაბამისად ჩაითვლება, რომ უნდა მიმართოს საერთაშორისო დაცვას 2015 წლის აქტის მიხედვით. თქვენი ფაილი გადაეგზავნა IPO-ს იმის განსახილველად, რომ თქვენ გაქვთ პოტენციური უფლება მხოლოდ დამატებით დაცვასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია თქვენს ლტოლვილის განაცხადთან დაკავშირებით, რომელიც გაკეთდა ORAC-ის მიერ შეინახება და დარჩება ძალაში. თუ IPO გაგიკეთებთ რეკომენდაციას, რომ თქვენ არ მოგანიჭებენ დამატებით დაცვას, შემდგომში მინისტრი გადაწყვეტს, მოგცემენ თუ არა სახელმწიფოში დარჩენის ნებართვას. თუ თქვენ გაასაჩივრებთ ლტოლვილის სტატუსის უარს (რომელიც უკვე მიიღეთ) და დამხმარე დაცვასთან დაკავშირებით IPAT-ის მიერ, ორი სარჩელი განიხილება, როგორც ერთი და მათი მათი მოსმენა მოხდება ერთდროულად.

როგორც თქვენი არსებული განაცხადი, დამატებით დაცვასთან დაკავშირებით იქნება გათვალისწინებული გარდამავალი დებულებების მიხედვით 2015 წლის აქტში, Tqven ar mogiwevt gaakeToT sxva ganacxadi saerTaSoriso dacvasTan dakavSirebiT. თუმცა, თქვენ უნდა უზრუნველყოთ დამატებითი ინფორმაციით საერთაშორისო დაცვის ოფისი და შეავსოთ თანდართული საერთაშორისო დაცვის კითხვარის (IPO 2) განაცხადის მოქმედი ნაწილები.

sainformacio Setyobineba da sxva TandarTuli dokumentebi

ზოგიერთი უფრო დეტალური გავლენა 2015 წლის აქტის გარდამავალ დებულებებზე, როგორც ეს მოცემულია დოკუმენტში, სახელწოდებით "საინფორმაციო შეტყობინება - გარდამავალი ღონისძიებები (IPO 12)." ეს წერილი უნდა წაკითხულ იქნას საინფორმაციო შეტყობინებასთან ერთად:

თანდართულია შემდეგი დოკუმენტები:

- საინფორმაციო შეტყობინება - გარდამავალი ღონისძიებები (IPO 12).

- საინფორმაციო ბუკლეტი განმცხადებლებისათვის საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებით (IPO 1), და
- განაცხადი საერთაშორისო დაცვის კითხვარისათვის (IPO 2).

saerTaSoriso kiTxvaris romeli nawilebi unda iyos Sevsebuli Tqvens mier?

შემდეგი მითითებები არის შემოთავაზებული საერთაშორისო დაცვის კითხვარის განაცხადის შესავსებად (IPO 2).

თქვენ უნდა შეავსოთ საერთაშორისო დაცვის კითხვარის (IPO 2) თანდართული განაცხადის ყველა ნაწილი, გარდა ის ნაწილი, სადაც მოცემულია ლტოლვილის სტატუსი (კითხვები 63a and 63b).

იმ შემთხვევაში თუ IPO რეკომენდაციას მოგცემთ, რომ თქვენს განაცხადს საერთაშორისო დაცვის შესახებ უარს ეტყვიან, მაშინ მიიღებენ გადაწყვეტილებას მოგცემენ თუ არა სახელმწიფოში დარჩენის ნებართვას სხვა საფუძველზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2015 წლის აქტის ამოქმედებასთან ერთად, პროცედურები შეიცვალა. მინისტრი აღარ გამოგიზავნით მოწვევას თქვენი წარმომადგენლობის შესახებ თუ რატომ უნდა დაგართონ ნება სახელმწიფოში დასარჩენად. ამის ნაცვლად, დარჩენის ნებართვა ჩაითვლება ყოველგვარი შეფერხების გარეშე თუ რეკომენდაციას გაგიწევთ IPO, რომ თქვენი საერთაშორისო დაცვის განაცხადზე გეტყვიან უარს.

აქედან გამომდინარე, თქვენი გადასაწყვეტია წარადგინოთ წერილობით ის მიზეზები თუ რატომ თვლით, რომ უნდა მოგანიჭონ დარჩენის ნებართვა, როდესაც თქვენ ავსებთ თანდართულ საერთაშორისო დაცვის კითხვარის (IPO 2) განაცხადის შესაბამის ნაწილს. მაგალითად, თქვენი ოჯახი და შიდა პირობები, სახელმწიფოსთან თქვენი კავშირის ბუნება, თქვენი ხასიათი და ქცევა ორივე სახელმწიფოს შიგნით და გარეთ და ჰუმანიტარული მოსაზრებები, რომლების არის ყველა პოტენციურად შესაბამისი საკითხი ამ კონტექსტში. შესაბამისი საკითხების სრულად განსახილველად, იხილეთ საერთაშორისო დაცვის (IPO 1) განმცხადებლების საინფორმაციო ბუკლეტი.

თქვენ ასევე ვალდებული ხართ მიაწოდოთ IPO-ს (მინისტრის სახელით) ინფორმაცია თქვენი გარემოებების ნებისმიერი ცვლილების შესახებ ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც შეიძლება იყოს შესაბამისი (მაგ., თქვენი ოჯახის ან შიდა გარემოებები ან ვითარება თქვენი წარმოშობის ქვეყანაში).

ra unda vqna axla?

მას შემდეგ, რაც თქვენ შეავსებთ და ხელს მოაწერთ საერთაშორისო დაცვის შესახებ კითხვარის (IPO 2) განაცხადს, თქვენ ის უნდა დაგვიბრუნოთ სხვა დამატებით ინფორმაციასთან ერთად და იმ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელსაც თქვენ მიიჩნევთ, რომ უნდა წარადგინოთ და ჯერ არ წარგიდგინიათ ORAC-ში, თანდართული ufaso fostis კონვერტში. კითხვარი უნდა დაგვიბრუნდეს ჩვენ, თუ შესაძლებელია ამ წერილის მიღების თარიღიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღეში. თუ თქვენ და/ან თქვენი იურიდიულ მრჩეველს სურს უზრუნველყოს IPO დამატებითი ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც თქვენ წარადგინეთ ზემოთმოცემული ინფორმაცია, თქვენ ასე უნდა მოიქცეთ რაც შეიძლება სწრაფად მოთხოვნის შესაბამისად, არაუგვიანეს ორი კვირისა თქვენს დაგეგმილ ინტერვიუმდე. ეს ვადა ხელს შეუწყობს დოკუმენტების თარგმანს, თუ ეს

მოთხოვნილია და უზრუნველყოფს, რომ IPO-ს ინტერვიუს აქვს ყველა დოკუმენტი ხელმისაწვდომი, რომელიც განიხილება ინტერვიუს თარიღამდე წინასწარ.

interview

თქვენს მიერ შევსებული კითხვარის მიღების შემდეგ, IPO დაგიკავშირდებათ შესაბამის თარიღზე, თქვენი საერთაშორისო დაცვის ინტერვიუს თარიღთან დაკავშირებით. რადგანაც თქვენ უკვე მიიღეთ გადაწყვეტილება თქვენი განაცხადით ლტოლვილის სტატუსის შესახებ, ინტერვიუ მხოლოდ მოიცავს დამატებითი დაცვის საკითხებს. თქვენი ინტერვიუ არ შეიძლება დაინიშნოს რამოდენიმე თვის განმავლობაში, იმის გამო, რომ IPO-მ უნდა განიხილოს განაცხადების დიდი რაოდენობა.

saxelmwifoSi cxovreba

პირობები თქვენს საცხოვრებელთან დაკავშირებით სახელმწიფოში არ შეიცვლება. დროებითი ბინადრობის მოწმობა (TRC), რომელიც თქვენთვის უკვე გაიცა ჩაითვლება, როგორც დროებითი ბინადრობის მოწმობა, გაცემული ნაწილი 17, 2015 წლის აქტით და ძალაში რჩება და იქნება განახლებადი სანამ თქვენი განაცხადება საერთაშორისო დაცვის შესახებ არ გადაწყდება.

iuridiuli konsultacia

თქვენ გეძლევათ რეკომენდაცია მიიღოთ იურიდიული კონსულტაცია ამ წერილთან და თანდართულ დოკუმენტებთან დაკავშირებით. თქვენ გაქვთ უფლება გაიაროთ კონსულტაცია ადვოკატთან და შეგიძლიათ ისარგებლოთ იურიდიული დახმარების საბჭოს (LAB) მომსახურებით, ეს არის დამოუკიდებელი სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს კონფიდენციალურ იურიდიულ მომსახურებას იმ პირებისთვის, რომლებიც ეძიებენ საერთაშორისო დაცვას ირლანდიაში. LAB-ი უზრუნველყოფს იურიდიულ დახმარებასა და კონსულტაციას, თქვენი განაცხადის მხარდასაჭერად. **LAB-ის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია თანდართულ საინფორმაციო შეტყობინებაში (IPO 12).**

თქვენ ასევე შეგიძლიათ მოიძიოთ კერძო ადვოკატის მომსახურება საკუთარი ხარჯებით.

თუ თქვენს ეს ჯერ არ გაგიკეთებიათ, მაშინ თქვენ უნდა უზრუნველყოთ ინფორმაციით თქვენი კანონიერი წარმომადგენელი და საჭიროების შემთხვევაში, რაც შეიძლება მალე აცნობოთ კანონიერი წარმომადგენლის ნებისმიერი ცვლილება საერთაშორისო დაცვის სამსახურს.

UNHCR

თქვენ ასევე უფლება გაქვთ გაიაროთ კონსულტაცია გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისართან, რომლის საკონტაქტო ინფორმაცია თანდართული საინფორმაციო შეტყობინებაში (IPO 12).

nebayoflobiTi dabruneba

თუ თქვენ არ გასურთ გააგრძელოთ თქვენი განაცხადი საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებით, თქვენ შეგიძლიათ თავისუფლად ისარგებლოთ ნებაყოფლობითი დაბრუნების ვარიანტით თქვენი

წარმოშობის ქვეყანაში. რჩევა და დახმარება ამ კუთხით არის შესაძლებელი თქვენთვის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ, რომლის **საკონტაქტო ინფორმაცია თანდართული საინფორმაციო შეტყობინებაში (IPO 12)**.

Tqveni axali ganacxadis nomeri

ძველი განაცხადის ნომერი აღარ იქნება გამოყენებული. თქვენ იპოვით თქვენს ახალ განაცხადის ნომერს, რომელიც იწყება **IPPA**-თი და მოცემულია ამ წერილის თავზე. თქვენი პირადობის მოწმობა დარჩება იგივე.

Tqveni misamarTi

თუ თქვენ შეიცვლით თქვენს მისამართს, უნდა აცნობოთ ეს საერთაშორისო დაცვის ოფისს **წერილობით**, რაც შეიძლება მალე, მას შემდეგ, რაც გადახვალთ. გთხოვთ არ დაგავიწყდეთ ხელი მოაწეროთ ამ წერილს და ჩაწეროთ თქვენი **ახალი** საცნობარო ნომერი.

SekiTxvebi

თუ თქვენ გექნებათ რაიმე შეკითხვები თქვენს განაცხადთან დაკავშირებით, საერთაშორისო დაცვის შესახებ ან ამ წერილთან დაკავშირებით, გთხოვთ დაეკონტაქტოთ **(თქვენს ახალ საცნობარო ნომერზე დაყრდნობით)**:

**Customer Service Centre
International Protection Office
Irish Naturalisation and Immigration Service
79 - 83 Lower Mount Street
Dublin 2, D02 ND99
Telephone: 01 6028008
Email: info@ipo.gov.ie**

ამ წერილის ტექსტი და დანართები კოპირებულია კანონიერი წარმომადგენლებისთვის.

საერთაშორისო დაცვის ოფისი

ირლანდიის ნატურალიზაციის და იმიგრაციის სამსახური

Date